

აბორტი კანონზომიერი ქმედება თუ სამოქალაქო სამართლებრივი
დანაშაული?

ანანო ცხომარია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე იურისტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: გიორგი გლაზოვი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

საქართველოში არაერთი კანონია, რომელიც იცავს ბავშვის უფლებებს, მათ შორის ჩანასახსაც, თუმცა კანონით დაცვის ფარგლებს გარეთ რჩება 12 კვირამდე ჩანასახის ნებისმიერი სახის უფლება, მათ შორის მემკვიდრეობის მიღებისაც.

არაერთი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციაა შექმნილი, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ აბორტის პროპაგანდას და მინიმალურ ზღვრამდე დაწიონ აბორტის გაკეთების დასაშვები ვადები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე, თუმცა ამ პირობის განსახორციელებლად საჭიროა ცოცხლად დაბადება.¹ ხოლო კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მუხლი 139-ე გვეუბნება, რომ აბორტი დასაშვებია ვიდრე ქალის ორსულობა არ აღემატება 12-კვირას². აქედან გამომდინარე სახეზე გვაქვს მუხლებს შორის კოლიზია.

ერთის მხრივ სახელმწიფო ნაყოფს ანიჭებს ისეთ უმნიშვნელოვანეს უფლებას, როგორცაა მემკვიდრეობის მიღების უფლება, ხოლო მეორეს მხრივ 12 კვირამდე ეს უფლება ხელყოფილია.

საქართველოში უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე იყო აბორტი აკრძალული, ისტორიდან გამომდინარე ამ საკითხს მარადიულად ყავდნენ მოწინააღმდეგეები და დღესდღეობით ეს საკითხი კვლავ განხილვის და დავის საგნად რჩება.

¹საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 11

²საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 139

Abstract

There are many laws in Georgia that protect children, including embryos, but the law doesn't protect any rights of an embryo under the age of 12 weeks, including inheritance.

Many international and non-governmental organizations were created, in Georgia and beyond its borders, that are trying to stop abortion propaganda and lower the permissible age of abortion.

According to Georgia's Civil Code's 11th clause, the right to inheritance is granted upon impregnation but to fulfill this condition, live-birth is required. Occupational Safety and Health Act, 139th clause tells us that abortion is permissible until a woman's pregnancy is under 12 weeks. Collision between clauses is clear.

Government gives embryo an important right such as the right to inheritance, on the other hand this right is encroached until 12 weeks.

From ancient times, in Georgia even before A.C., abortion was prohibited. According to history this issue always had people protesting it and nowadays it is still a matter of discussion.